ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 11)

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები

ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეების დაფინანსება

პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ დახმარებას.

დახმარება გაიცემა:

ა) დიდი სამამულო ომის მონაწილეებზე -500 (ხუთასი) ლარის და მათთან გათანაბრებულ პირებზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შშმ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებზე (მშობელი, შვილი, ქორწინებაში მყოფი მეუღლე) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით - 17 ოქტომბერს ვეტერანთა დღის აღსანიშნავად;

გ) სოციალურად დაუცველ ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე (გარდა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისა), თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 1000-დან 65 000-მდე, წელიწადში ერთხელ 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

დ) სოციალურად დაუცველ ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე (გარდა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისა), თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 65 001-დან 100 000-მდე, წელიწადში ერთხელ 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები

ა) განცხადება ან/და წერილი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისაგან;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან (ამონაწერის გაცემის თარიღი არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ერთ თვეს);

დ) ომის მონაწილის (ვეტერანის) დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) საბანკო რეკვიზიტი;

ვ) ქორწინების მოწმობის ასლი:

ზ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი (ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის დახმარების შემთხვევაში);

მუხლი 7. მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება

1. სოციალური დახმარების მისაღებად, მოქალაქე წერილობით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.

2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.

3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის დასახელება და დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილად;

მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების ან/და ადგილზე გადამოწმების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს წერილს და ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში მიმართავს ხარვეზის შესასწორებლად.

მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) თანხის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო- საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორი

პროგრამაში ჩართული ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების რაოდენობა.

მუხლი 12. პროგრამის შედეგი

ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება.